ოთხშაბათი 24 ივნისი 1915 წ.

სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თოთხმეტი ცალკე ნომერი ერთი შაური. [illegible] წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის [illegible] ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადებისფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 112 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 112

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

გიორგი ნიკოლოზის ძე და ქეთევან გიორგის ასული რუხაძენი; მარიამ ბოლქვაძისა და კატო და პელო იაგორ ბოლქვაძის ასულნი; ქრისტინე რუხაძისა, ჭიჭიკო ნიკოლოზის ძე რუხაძე და სხვანი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას: პირველი ძვირფასი მეუღლისა, მეორე დედისა, მესამე შვილისა, მეოთხენი დისა და უკანასკნელნი საყვარელი რძლის

ნინო იაგორ ბოლქვაძის ასულის

რუხაძისას,

რომლის გამოსვენება დანიშნულია დ. ჭითურიდან სამშაბათს საღამოს, ნატანების სადგურზე, საიდანაც წაასვენებენ და დაკრძალავენ ს. სამღვთოში 24 ამ თვეს.

1—1—492

გულ დათუთქულნი ჭარისუფალნი: კნეინა მარიამ ოქროპირის ასული ჩიქოვანისა, კნეინა ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჩიქოვანისა, ეკატერინე ლევანს ასული მამარდაშვილისა, თავადი იასონ ვარადებულისძე ჩიქოვანი, ოქროპირ ივანესძე მამარდაშვილი და გივი ჭოჭიასძე ჩიქოვანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი დაუვიწყარი შვილისას, უკანასკნელი საყვარელი ძმისას და დანარჩენნი ძვირფასი შვილისშვილისას:

გალაკტიონ (გალაკო) ჭოჭიას ძის ჩიქოვანისას.

დასაფლავების დღე დანიშნულია პარასკევს 26 ივანობისთვეს, ნაშუადღევის სამ საათზე. ქომა, საკუთარი სახლი.

2—1—№491

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ულრუოლაძეების სამკურნალო

—ა ბ ა ნ ო.—

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებიო შემკულ მთის [illegible]ერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმოფოობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საუმწეოლოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაუოლილ ტიებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმოფოობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში ამოოფუება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ეფექტივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანციია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოობით. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტროლინისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. **ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.**

მედიცინისა, პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი **რელიგიოზნი** დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქი-რურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. **ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 საათამდი.**

კბილის ექიმები

მენაღარიშვილი და **ტრუფანოვა** ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი **ი. ჩარეძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

კერძო ექიმი **მიხეილ კაში** კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას. ღებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშაისი. თვ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

საზაფხულო შენობაში.

ორშაბათიდან, 22 ივნისიდან ახალი პროგრამა.

პატე ჟურნალი

მსოფლიო ქრონიკა

წყვილი ლურჯა ცხენი

აბუსტინის ტნობილი ლექსიდან. დრამა 4 ნაწ. ეპიდოგით.

მონაწილეობენ ტნობილი არტისტები: **რინდინისა** და **მოზუზუხინი.**

ომის დღიური.

კავკასიის ასპ. ოსმალოებმა თუმცა უკანასკნელ

ბალტის ზღვაში საზღვაო ბრძოლა

ბაცხარებული ბრძოლაა ედვაბნოს რაიონში.

ბაცხარებული ბრძოლა ნალმების საშუალებით.

ბ ო მ ი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

კავკასიის ასპარეზი.

თბილისი. 20 ივნისი. კავკასიის ჯარის შტაბიდან. 18 ივნისს ზღვის რაიონში სროლა გრძელდება. ჩვენ ნალმოსანს სროლა ჰქონდა ოსმალთა არტილერიასთან. ოლთისის მიმართულებით ხარტხის სამხრეთით მტერმა იერიში განაახლა, მაგრამ უკუვაგდეთ. ყარადერბენტის რაიონში სოფ. ანდარკომის დასავლეთით ჩვენ დავიპყარით სიმაღლეები, ავბაზიკის სამხრეთით ოსმალები უკუვაგდეთ შარნან-დაგის ქედამდე. ზევანეას რაიონში სროლაა. დანარჩენ ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

თბილისი. 21 ივნ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. პასსინის ველზე სროლა გრძელდება. ყარადერბენტის რაიონში რუსის ჯარმა დაიჭირა სოფელი ჯამპეკი. ვანისტპის სამხრეთ ნაპირზე რუსის ჯარმა ღამის იერიშით განდევნა ოსმალონი თავიანთ პოზიციებიდან. ხიზან-სუ-ს მარცხენა ნაპირზე მტერი აიძულა უკან დიეხია. დანარჩენ ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

ალმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 21 ივნისი. 19 ივნისს დანცინგის ნავთსადგურში შესვლის დროს ინგლისის წყალქვეშა ნავმა ორი ნალმით ააფეთქა გერმანელთა გემი „დოიტშლანდის“ ტიპისა, რომელიც ესკადრას წინ მიუძღოდა. ერთმა ჩვენმა ნალმოსანმა დააზიანა მტრის წყალქვეშა ნავი, როცა ის ჩვენ გემებთან მოსასვლელათ ემზადებოდა. ნალმოსანი უმნიშვნელოთ დაზიანდა.

შავლის რაიონში და ნემანის დასავლეთით სამხედრო მოქმედება არ ყოფილა. ედვაბნოს რაიონში გაცხარებული ბრძოლაა ნალმების საშუალებით. კუჩესთან ჩვენ ხელთ ვიგგეთ მტრის ნალმების ავანი. ბზურაზე სოფელ სუხასთან, მტრის განზრახვამ, ჩვენ სანგრებს მოახლოვებოდა, უშედეგოთ ჩაიარა. რადომის მიმართულებით ჩვენი ჯარები 20 ივნისს, ღამით, კერძო შეტევის გზას დაადგენ და ავსტრიის ბათალიონების სანგრები დაიკავეს. ვისლასა და ბუკს შუა 19—20 ივნისს მეტათ ცხარე ბრძოლა იყო. მდინარე ვიენიცაზე მტრის შემოტევა შეჩერებულ იქნა. მტრის მთავარი ძალა თავს იყრის ქალაქ კრასნიკის ალმოსავლეთით, ბიხალუს მიმართულებით, სადაც 20 ივნისს, ღამით, იერიშები მოვიგერიეთ, მაგრამ ბრძოლის შედეგი ჯერ არ გამორკვეულა. მტერი ცდილობდა აგრეთვე წინ წამოწეულიყო ზამოსტიე-კრასნოსტავის მიმართულებით, სადაც მეტათ ცხარე ბრძოლა გაიმართა 19 ივნისს და 20-ს დილით მდ. ვოლიცის შესართავის რაიონში, სოფლებ ტარჟიმეხ-კრასნოგ-სტრიას ხაზზე. მტერმა აქ დიდი ზარალი ნახა. სოფელი ტარჟიმეხი რომელიც მტერმა სალამოს დაიკავა, 20 ივნისს გენერალ ირმანოვის პოლკების იერიშების საშუალებით ისევ უკან დაიბრუნეთ. გნილაიალიპაზე ჩვენმა ჯარმა მტრის შემოტევა შეაჩერა და ღამით 21 ივნისს ზოლოტაია ლიპასკენ უკან დაიხია. დნესტრზე მდგომარეობა უცვლელია.

პეტროგრადი. 23 ივნ. მთავარსარდლის შტაბისაგან. ედვაბნოს რაიონში გერმანელებმა 20 ივნ. ააფეთქეს ორი საქვაბური და შემდეგ ამ ადგილს სროლა დაუწყეს. შემდეგ დღეს ჩვენმა მენალმეებმა ააფეთქეს გერმანელთა ნალმების გალერეია. ლიუბლინის გეზით მტერმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ 21 ივნ. კრასნიკსა და მდ. ვეპრჟეს ფრონტზე წინ წაიწია. გერმანელთა იერიშები ვეპრჟსა და ბუგს შუა და აგრეთვე სოფ. კრილოვსა და ქალ. სოკალს შუა 20-სა და 21 ივნ. მოვიგერეთ. დავატყვევეთ რამდენიმე ასი ჯაცი. ბუგზე სოკალის ზემოთ, ზოლ. ლიპაზე და დნესტრზე ცვლილება არ მომხდარა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. საღამოს ოფიციალური ცნობა. მთელი დღის განმავლობაში მტერი საარტილერიო ბრძოლას კიდევ უფრო აცხოველებდა, განსაკუთრებით ბელგიაში, ნეიფ-ეკრიუროკლენკურის რაიონში და მდ. ლოის და ენის ფრონტზე ჩვენ, მტრის ენის მარჯვენა ნაპირზე, სუპირ ტრო, ტრუაინის რაიონში და აგრეთვე შამპანში პეტრ-ბოსეჟურის ფრონტზე ომი ნალმებით წარმოებს. არგონებში დღე შედარებით წყნარათ ჩატარდა, უკანასკნელ დამარცხების შემდეგ მტრის ქვეითა ჯარმა შეტევას თავი დაანება. მაასის მარჯვენა ნაპირზე კოლონის ახლო სანგრებთან და აგრეთვე ლა-ბასეს ფრონტზე ზარბაზნების სროლა გრძელდებოდა. ვოგოზებში კერძო ხასიათის საარტილერიო ბრძოლაა ფონტენელ და გარტმანვეილერთან.

დარდანელი.

ლონდონი. 20 ივნისი. ოფიციალური ცნობა დარდანელში მოქმედების შესახებ. 16 ივნისს დღით მტრის ჯარის ნაწილები დაიძრენ აჩიბაბას ჩრდილოეთიდან და კილიდბახრას სამხრეთიდან. გუშინ მეტათ ცხარე იერიში მოიტანეს, იმ მიზნით, რომ დაებრუნებიათ უკან 15 ივნისს ჩვენ მიერ დაკავებული პოზიციები; ძლიერი საარტილერიო და ტყვიის მფრქვეველთა ცეცხლის შემდეგ მტერი ხიშტებით მივარდა პოზიციების მარცხენა ნაწილს, მაგრამ იერიში მოგერეებულ იქნა. სამხრეთის ფრონტზე ოსმალებმა ზღვის ნაპირების გასწვრივ იერიში მოიტანეს, კრეისერმა „ვოლვერენმა“ პროჟექტორების საშუალებით შეაჩნია ოსმალთა მოძრაობა და საარტილერიო ცეცხლი დაუშინა მათ მთავარ ძალას, რითაც დიდი ზიანი მიაყენა. აღმოსავლეთით იერიში კიდევ უფრო ძლიერი იყო და საარტილერიო სროლის საშუალებით ხდებოდა, მაგრამ ბოლოს შეჩერებულ იქნენ 40 იარდის სიშორეზე. ფრონტები საბრძოლველათ გამოვიდნენ დილის 6 საათზე და 30 წუთზე, რვის ნახევარზე კი მეტათ გამაგრებული ეგრეთ წოდებული „ოთხკუთხიანი“ სისტემის სანგრები აიღეს. ამგვარათ დაიკავეს მტრის სანგრების მთელი ხაზი. დაკავებულ პოზიციებს მოკავშირენი ამაგრებენ.

ათინა. 20 ივნ. მოკავშირები დიდის წარმატებით შეტევას განაგრძობენ გალიპოლში მტრის სანგრების პირველი ხაზი დაჭერილი აქვთ.

სერბიაში.

ნიში. 19 ივნისი. „პრეს-ბიურო" იტყობინება, რომ მტერმა 15 ივნისს ზარბაზნები დაუშინა ჩვენს პოზიციებს დუნაის ნაპირების გასწვრივ. პლეშიჩ-კორენიკის ფრონტზე მტერმა 400 ყუმბარა გაისროლა და ბევრი მასალა დახარჯა. მარა მტერმა მიზანს ვერ მიაღწია. ჩვენი არტილერია ზოგიერთ პუნქტებში პასუხს აძლევდა და ათჯერ ნაკლებ სამხედრო მასალას ხარჯავდა. 16 ივნისს მტერმა მილანოვაცს უშედეგოთ ყუმბარა ესროლა.

პარიზი. 22 ივნ. საღამოს ოფიციალური ცნობა: ბელგიაში ნიუპორტის რაიონში, სტრეენსტეტის ფრონტზე და არასის ჩრდილოეთ რაიონში ენის მარჯვენა ნაპირზე პასის ახლო ბრძოლა გრძელდება. არგონში ბრძოლაა ყუმბარებით და ნაღმებით და ქვეითა ჯარი მონაწილეობას არ ღებულობდა. მაისის მარჯვენა ნაპირზე და ვოგეზში არტილერიის ბრძოლაა.

ჰავრი. 21 ივნ. ოფიციალური ცნობა: 20 ივნ. წინა ღამის განმავლობაში მტრის არტილერია ჩვენი ფრონტის წინა პოზიციებს ესროდა. ჩვენც ვუპასუხებდით.

პირიზი. 21 ივნისი. დღის ოფიციალური ცნობა: არასის ჩრდილოეთით მტერმა ღამით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე ანჟერიდან აბლენს მიმავალ გზაზე და ეკსნულეტსუშეს გზიდან ჩრდილოეთით, მაგრამ თოფისა და ტყვიის მფრქვველის ცეცხლით გავფანტეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ, არგონებზე ბენარვილ ბიენელეტაშოს გზიდან ფურდეპარამდე მთელ ღამეს განუწყვეტელი სროლა და საარტილერიო ბრძოლა იყო. ლაფონტენოშარმის რაიონში ომნიშვნელო შეტაკებები იყო, რომელსაც არავითარი ცვლილება არ გამოუწვევია. ფრონტლაგიალეშნოსთან ყუმბარების ცხარე სროლის შემდეგ შუაღამისას გერმანელები ჩვენ პოზიციებზე იერიშის მოტანას ცდილობდნენ. რენვილის ჩრდილოეთით მტრის იერიში ჩვენი ცეცხლით შევაჩერეთ. მტერმა ორჯერ მოაღწია ჩვენი მავთულის ხაზამდი, მაგრამ ორივეჯერ იძულებული იყო უკან დაეხია. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

გემების ჩაძირვა.

ლონდონი. ოცილის ახლოს გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ბელგიის გემი „ბოდუნია". 18 მეზღვაური ფონმუტში მოიყვანეს.

— ბრიტანიის გემი „რიჩმონდი" ჩასძირა ლამანში წყალქვეშა ნავმა. ეკიპაჟი პლიმუტში გადმოსხეს.

საარლის დაჭრა.

პარიზი. გენერალი გურო, რომელიც უფროსობს საექსპედიციო კორპუსს გალიპოლზე, დაიჭრა ყუმბარის ნამტვრევით, როცა ის ჭრილობის შესახვევ პუნქტზე დაჭრილებს ათვალიერებდა. გენერლის სიცოცხლე საშიშ მდგომარეობაში არ არის. მის მაგიერ დროებით განერ. ბაიუ დაინიშნა.

რომი. 20 ივნისი. მთელ პირზე ცვლილება არ მომხდარა. მალბორგეტოს და პრედილის სიმაგრეების წინააღმდეგ მიმართულმა არტილერიის ცეცხლმა დიდი ზიანი მიაყენა და დიდი აფეთქებები გამოიწვია. კარზიკის სიმაღლესთან დღით მტერმა კონტრიერიშები მოიტანა, მაგრამ ჩვენ მოვიგერიეთ და 200 ტყვე წამოვიყვანეთ.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბალკანეთის სახელმწიფოები.

„დეილ ტელეგრაფს" რომიდან ატყობინებენ, რომ ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკება უკვე შესწყდა, რადგანაც მოკავშირეებთან უფრო შესაძლებელია მოხდეს შეთანხმება ბულგარეთის საარგებლოთ, ვიდრე ოსმალეთთანაო.

ბუქარესტში ოპოზიცია მოითხოვს მთავრობისაგან რუმინიის საჩქაროთ გამოსვლას.

„ბერლინერ ტაგებლატის" ათინელ კორესპონდენტს უსაუბრია ვენიზელოსთან, რომელსაც განუცხადებია [illegible] ბერძნეთის მდგომარეობას, რადგანაც მთავრობის პოლიტიკა დაშორებულია ხალხის მოთხოვნილებას სამთა შეთანხმების სახელმწიფონი ხელს აღარ შეუშლიან ბულგარეთს საბერძნეთზე თავდასხმისათვის, ამიტომაო, ამბობს ვენიზელოსი, საბერძნეთი მუდამ მზათ უნდა იყოს ომისთვის ვენიზელოსი დღევანდელ მომენტში უარს ამბობს მთავრობას დაუბრუნდეს.

ოსმალეთის პრესა სიხარულით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ბულგარეთი ბოლომდი მტკიცეთ დაიცავს ნეიტრალიტეტს. ამით ოსმალეთს საშუალება ეძლევა თავისი ჯარის უდიდესი ნაწილი, რომელიც ამჟამათ ადრიანოპოლსა და ჩატალჯის სიმაგრეებში ყავს ბულგარეთის საწინააღმდეგოთ, გაათავისუფლოს და შეუერთოს იმ ჯარს, რომელიც მოკავშირეთა საწინააღმდეგოთ იბრძვის.

რუმინია.

ყველა სიტყვიდან, რომელიც წარმოთქმული იყო 15 ივნისს გამართულ მიტინგზე მეფის სასახლის წინ, უფრო საყურადღებოა ტრანსილვანელ მგოსნის ოკტავიანა გოგას სიტყვა. მან სთქვა:—„ჩვენ ავანტიურისტები არა ვართ და მოვედით ტრანსილვანიიდან ბუქარესტში, იმიტომ კი არა, რომ მხარულსა და მსუბუქ ცხოვრებას მივეცეთ. ჩვენ მოვედით აქ, რომ გადმოგცეთ თქვენ: ჩვენ გყწყურია ომი ტრანსილვანიის განსათავისუფლებლათ. ყველა ის, ვინც ამ ომს ეწინააღმდეგება, რუმინიის მტერი იქნება და ჩაქოლილიც იქნება ხალხისაგან. ისტორიაში ჩვენ ბევრი ამის მაგალითი ბევრი ვიცით?

ყველა გაზეთი ლაგოვარის ხსოვნას თანაგრძნობითი წერილებს უძღვნის და აღნიშვნენ, რომ მისი სიკვდილი რუმინიისთვის ამ კრიტიკულ მომენტის დროს დიდი დანაკლისიაო. მთავრობას აზრათ აქვს ლაგოვარის დასაფლავებას ნაციონალური ხასიათი მისცეს.

ოფიციოზური გაზეთი „ვიკტორიულ"-ი მიუთითებს რა ნაციონალისტურ ორგანო „ადევერულ"-ში მოთავსებულ ამაღელვებელ წერილებზე, რომელიც მოუწოდებს ხალხს რევოლიუციისთვის და ჯარს ლატისათვის, ეკითხება „აკტიონ ნაციონალ"-ის კომიტეტის წევრებს მინისტრებათ ნამყოფებს: თანაუგრძნობენ თუ არა ისინი ამ წერილებს და შიგ გატარებულ ანარქისტულ იდეებს?..

ვილჰელმი და ფრანც-იოსები.

გაზეთ რ. ს. ნიუიორკიდან ატყობინებენ: ვინაიდან საფრანგეთის ჯარი ელზასში წინ იწევს და მოკავშირეთა ჯარს იერიში მიაქვს არასის ჩრდილოეთ რაიონში, კაიზერმა ბრძანება გასცა რუსეთის ფრონტიდან გადაყვანილ იქნას დასავლეთ ფრონტზე დიდი ნაწილი მოქმედ ჯარისა. ამ ჯარის ხელმძღვანელათ თვითონ კაიზერი იქნება.

———

ელზასში გერმანელებმა ახალი ჯარი გადმოიყვანეს. კაიზერი აშკარათ აღიარებს თავის უკმაყოფილებას ავსტრიელებისადმი, რომელთა დასაცველათაც გერმანია თვისი ჯარის დიდ ნაწილს გზავნიდა.

ავსტრიის იმპერატორი კი თავისი მხრით დარწმუნებულია, რომ კაიზერის დღევანდელი პოლიტიკა არის: „ვისაც შეგიძლია თავს უშველეთ"-ო. როგორც ეტყობა, ფრანც იოსები სეპარატიული ზავის წინააღმდეგი არ იქნება, თუ რომ გერმანია არ მიაშველებს ჯარს იტალიელების საწინააღმდეგოთ.

ომის წლის თავის მოლოდინი

პარლამენტში ატეხილ დავის შესახებ ჯარის სურსათის გამო „ტაიმსი" სწერს:— ავათ თუ კარგათ, დღემდე ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ,—ახლა კი ყოველშემთხვევაში უნდა ვიმუშაოთ გაცილებით უკეთ და დაჩქარებით. ახლოვდება დასასრული ომის პირველი წლისა, გერმანელების პირველი შეტევისა ჩვენი მტრები ყოველგვარ წლის თავს დიდს მნიშვნელობას აძლევენ და სრულიად შესაფერი იქნება, თუ ისინი იდღესასწაულებენ წლის თავს წასული წლის იერიშების გასამეორებლათ. ამიტომ ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მტერი ამ დღის აღსანიშნავათ ყოველგვარს ზომას იხმარს: მიმართავენ ყოველგვარს იარაღს, რომელიც კი მათ ხელშია და შეიძლება ბრძოლის ველზე დავ ნახოთ არა მარტო სულის შემხუთველი გაზები და ცეცხლის გამჩენი ყუმბარები, არამედ რამე სხვა ახალი ჯოჯოხეთური აღმოჩენაც. „რ. ს."

ძახალი.

„ტაიმს" ტორონტოდან (კანადა) ატყობინებენ; პოლიციისაგან დაჭერილი ვილაც ვილლიამ ლეფლერი გამოტყდა გამოძიების დროს, რომ მას სურდა სხვა შეთქმულებთან ერთად აეფეთქებია კანადის ფაბრიკა-ქარხნები, სადაც საომარ მასალას ამზადებენო. სამი თვის განმავლობაში ლეფლერი კონტრაბანდათ ღებულობდა გალკერვალში დინამიტებს. ყველაფერი ეგვე მზათ იყო, რომ სისრულეში მოეყვანათ ეგ ჯოჯოხეთური აზრი, როცა პოლიციამ შეთქმულობა აღმოაჩინა. ენერგიული გამოძიება სწარმოებს დანარჩენ დამნაშავეთა აღმოსაჩენათ.

„რ. ს."

ლონდონი.

ნიუიორკიდან „დელი მაილს" ატყობინებენ, რომ ის პირი რომელმაც ვაშინგტონის მთავრობას შეატყობინა გერმანელების განზრახვა შეერთებულ შტატებში მეზღვაურებთა საყოველთაო გაფიცვის მოხდენის შესახებ, რომ ამერიკიდან სურსათის გზავნა შეწყვეტილიყო გერმანიაში, როგორც გამოირკვა, არის—თავმჯდომარე მეზღვაურთა საერთაშორისო კავშირისა ბ. ფურუზეტი.

„რ. ს."

ფინლანდიის სტატს სეკრეტარის განცხადება

იმ ხმების გამო, რომელიც ამ უკანასკნელ დროში გავრცელდა საზღვარ-გარეთელ რუსულ გაზეთებში შესახებ შვეციის ომში ჩარევისა რუსეთის წინააღმდეგ „რ. ს."-ს კორესპონდენტს მიუმართავს ფინლანდიის საქმეთა სტატ-სეკრეტარ მარკოვისათვის, რომელსაც შემდეგი პასუხი მიუცია: „მე კატეგორულათ ვამტკიცებ, რომ შვეციის საომრათ გამოსვლის ხმებს ფინლანდიაში არავითარი გავლენა არა აქვს და ძრიელ სკეპტიკურათ უყურებენ—მიუხედავათ შვეციის გაზეთების კომპანიისა. ფინლანდიელები შეუძლებელათ თვლიან შვეციის ომში ჩარევას და მშვენიერათ ესმისთ გერმანელი აგენტების პროვოკაციული მოქმედება შვეციაში.

ვინ გაიმარჯვებს?

ვერც ერთი სამხედრო მიმომხილველი, ვერც ერთი კორესპონდენტი ვერ ბედავს ამ კითხვის დაყენებას, მის გამორკვევას; და ეს—არა იმიტომ, რომ სამხედრო ცენზურა ძალაშია, არამედ უფრო იმიტომ, რომ მებრძოლთა მხარეების ძალთა აწონ-დაწონვა, მათი „რეზერვების" გამოანგარიშება და კლასთა შინაური განმავლობაში ერთ-ერთ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

გემების ჩაძირვა.

ლონდონი. ოცილის ახლოს გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ბელგიის გემი „ბოდუნია". 18 მეზღვაური ფონმუტში მოიყვანეს.

— ბრიტანიის გემი „რიჩმონდი" ჩასძირა ლამანში წყალქვეშა ნავმა. ეკიპაჟი პლიმუტში გადმოსხეს.

საარლის დაჭრა.

პარიზი. გენერალი გურო, რომელიც უფროსობს საექსპედიციო კორპუსს გალიპოლზე, დაიჭრა ყუმბარის ნამტვრევით, როცა ის ჭრილობის შესახვევ პუნქტზე დაჭრილებს ათვალიერებდა. გენერლის სიცოცხლე საშიშ მდგომარეობაში არ არის. მის მაგიერ დროებით განერ. ბაიუ დაინიშნა.

რომი. 20 ივნისი. მთელ პირზე ცვლილება არ მომხდარა. მალბორგეტოს და პრედილის სიმაგრეების წინააღმდეგ მიმართულმა არტილერიის ცეცხლმა დიდი ზიანი მიაყენა და დიდი აფეთქებები გამოიწვია. კარზიკის სიმაღლესთან დღით მტერმა კონტრიერიშები მოიტანა, მაგრამ ჩვენ მოვიგერიეთ და 200 ტყვე წამოვიყვანეთ.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბალკანეთის სახელმწიფოები.

„დეილ ტელეგრაფს" რომიდან ატყობინებენ, რომ ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკება უკვე შესწყდა, რადგანაც მოკავშირეებთან უფრო შესაძლებელია მოხდეს შეთანხმება ბულგარეთის საარგებლოთ, ვიდრე ოსმალეთთანაო.

ბუქარესტში ოპოზიცია მოითხოვს მთავრობისაგან რუმინიის საჩქაროთ გამოსვლას.

„ბერლინერ ტაგებლატის" ათინელ კორესპონდენტს უსაუბრია ვენიზელოსთან, რომელსაც განუცხადებია [illegible] ბერძნეთის მდგომარეობას, რადგანაც მთავრობის პოლიტიკა დაშორებულია ხალხის მოთხოვნილებას სამთა შეთანხმების სახელმწიფონი ხელს აღარ შეუშლიან ბულგარეთს საბერძნეთზე თავდასხმისათვის, ამიტომაო, ამბობს ვენიზელოსი, საბერძნეთი მუდამ მზათ უნდა იყოს ომისთვის ვენიზელოსი დღევანდელ მომენტში უარს ამბობს მთავრობას დაუბრუნდეს.

ოსმალეთის პრესა სიხარულით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ბულგარეთი ბოლომდი მტკიცეთ დაიცავს ნეიტრალიტეტს. ამით ოსმალეთს საშუალება ეძლევა თავისი ჯარის უდიდესი ნაწილი, რომელიც ამჟამათ ადრიანოპოლსა და ჩატალჯის სიმაგრეებში ყავს ბულგარეთის საწინააღმდეგოთ, გაათავისუფლოს და შეუერთოს იმ ჯარს, რომელიც მოკავშირეთა საწინააღმდეგოთ იბრძვის.

რუმინია.

ყველა სიტყვიდან, რომელიც წარმოთქმული იყო 15 ივნისს გამართულ მიტინგზე მეფის სასახლის წინ, უფრო საყურადღებოა ტრანსილვანელ მგოსნის ოკტავიანა გოგას სიტყვა. მან სთქვა:—„ჩვენ ავანტიურისტები არა ვართ და მოვედით ტრანსილვანიიდან ბუქარესტში, იმიტომ კი არა, რომ მხარულსა და მსუბუქ ცხოვრებას მივეცეთ. ჩვენ მოვედით აქ, რომ გადმოგცეთ თქვენ: ჩვენ გყწყურია ომი ტრანსილვანიის განსათავისუფლებლათ. ყველა ის, ვინც ამ ომს ეწინააღმდეგება, რუმინიის მტერი იქნება და ჩაქოლილიც იქნება ხალხისაგან. ისტორიაში ჩვენ ბევრი ამის მაგალითი ბევრი ვიცით?

ყველა გაზეთი ლაგოვარის ხსოვნას თანაგრძნობითი წერილებს უძღვნის და აღნიშვნენ, რომ მისი სიკვდილი რუმინიისთვის ამ კრიტიკულ მომენტის დროს დიდი დანაკლისიაო. მთავრობას აზრათ აქვს ლაგოვარის დასაფლავებას ნაციონალური ხასიათი მისცეს.

ოფიციოზური გაზეთი „ვიკტორიულ"-ი მიუთითებს რა ნაციონალისტურ ორგანო „ადევერულ"-ში მოთავსებულ ამაღელვებელ წერილებზე, რომელიც მოუწოდებს ხალხს რევოლიუციისთვის და ჯარს ლატისათვის, ეკითხება „აკტიონ ნაციონალ"-ის კომიტეტის წევრებს მინისტრებათ ნამყოფებს: თანაუგრძნობენ თუ არა ისინი ამ წერილებს და შიგ გატარებულ ანარქისტულ იდეებს?..

ვილჰელმი და ფრანც-იოსები.

გაზეთ რ. ს. ნიუიორკიდან ატყობინებენ: ვინაიდან საფრანგეთის ჯარი ელზასში წინ იწევს და მოკავშირეთა ჯარს იერიში მიაქვს არასის ჩრდილოეთ რაიონში, კაიზერმა ბრძანება გასცა რუსეთის ფრონტიდან გადაყვანილ იქნას დასავლეთ ფრონტზე დიდი ნაწილი მოქმედ ჯარისა. ამ ჯარის ხელმძღვანელათ თვითონ კაიზერი იქნება.

———

ელზასში გერმანელებმა ახალი ჯარი გადმოიყვანეს. კაიზერი აშკარათ აღიარებს თავის უკმაყოფილებას ავსტრიელებისადმი, რომელთა დასაცველათაც გერმანია თვისი ჯარის დიდ ნაწილს გზავნიდა.

ავსტრიის იმპერატორი კი თავისი მხრით დარწმუნებულია, რომ კაიზერის დღევანდელი პოლიტიკა არის: „ვისაც შეგიძლია თავს უშველეთ"-ო. როგორც ეტყობა, ფრანც იოსები სეპარატიული ზავის წინააღმდეგი არ იქნება, თუ რომ გერმანია არ მიაშველებს ჯარს იტალიელების საწინააღმდეგოთ.

ომის წლის თავის მოლოდინი

პარლამენტში ატეხილ დავის შესახებ ჯარის სურსათის გამო „ტაიმსი" სწერს:— ავათ თუ კარგათ, დღემდე ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ,—ახლა კი ყოველშემთხვევაში უნდა ვიმუშაოთ გაცილებით უკეთ და დაჩქარებით. ახლოვდება დასასრული ომის პირველი წლისა, გერმანელების პირველი შეტევისა ჩვენი მტრები ყოველგვარ წლის თავს დიდს მნიშვნელობას აძლევენ და სრულიად შესაფერი იქნება, თუ ისინი იდღესასწაულებენ წლის თავს წასული წლის იერიშების გასამეორებლათ. ამიტომ ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მტერი ამ დღის აღსანიშნავათ ყოველგვარს ზომას იხმარს: მიმართავენ ყოველგვარს იარაღს, რომელიც კი მათ ხელშია და შეიძლება ბრძოლის ველზე დავ ნახოთ არა მარტო სულის შემხუთველი გაზები და ცეცხლის გამჩენი ყუმბარები, არამედ რამე სხვა ახალი ჯოჯოხეთური აღმოჩენაც. „რ. ს."

ძახალი.

„ტაიმს" ტორონტოდან (კანადა) ატყობინებენ; პოლიციისაგან დაჭერილი ვილაც ვილლიამ ლეფლერი გამოტყდა გამოძიების დროს, რომ მას სურდა სხვა შეთქმულებთან ერთად აეფეთქებია კანადის ფაბრიკა-ქარხნები, სადაც საომარ მასალას ამზადებენო. სამი თვის განმავლობაში ლეფლერი კონტრაბანდათ ღებულობდა გალკერვალში დინამიტებს. ყველაფერი ეგვე მზათ იყო, რომ სისრულეში მოეყვანათ ეგ ჯოჯოხეთური აზრი, როცა პოლიციამ შეთქმულობა აღმოაჩინა. ენერგიული გამოძიება სწარმოებს დანარჩენ დამნაშავეთა აღმოსაჩენათ.

„რ. ს."

ლონდონი.

ნიუიორკიდან „დელი მაილს" ატყობინებენ, რომ ის პირი რომელმაც ვაშინგტონის მთავრობას შეატყობინა გერმანელების განზრახვა შეერთებულ შტატებში მეზღვაურებთა საყოველთაო გაფიცვის მოხდენის შესახებ, რომ ამერიკიდან სურსათის გზავნა შეწყვეტილიყო გერმანიაში, როგორც გამოირკვა, არის—თავმჯდომარე მეზღვაურთა საერთაშორისო კავშირისა ბ. ფურუზეტი.

„რ. ს."

ფინლანდიის სტატს სეკრეტარის განცხადება

იმ ხმების გამო, რომელიც ამ უკანასკნელ დროში გავრცელდა საზღვარ-გარეთელ რუსულ გაზეთებში შესახებ შვეციის ომში ჩარევისა რუსეთის წინააღმდეგ „რ. ს."-ს კორესპონდენტს მიუმართავს ფინლანდიის საქმეთა სტატ-სეკრეტარ მარკოვისათვის, რომელსაც შემდეგი პასუხი მიუცია: „მე კატეგორულათ ვამტკიცებ, რომ შვეციის საომრათ გამოსვლის ხმებს ფინლანდიაში არავითარი გავლენა არა აქვს და ძრიელ სკეპტიკურათ უყურებენ—მიუხედავათ შვეციის გაზეთების კომპანიისა. ფინლანდიელები შეუძლებელათ თვლიან შვეციის ომში ჩარევას და მშვენიერათ ესმისთ გერმანელი აგენტების პროვოკაციული მოქმედება შვეციაში.

მცირე შენიშვნა.

პასუხათ ბ-ნ ლ. ბოცვაძეს.

ბ. ბოცვაძემ კიდევ გამოილაშქრა ჩემს წინააღმდეგ ლანძღვა-გინებით სავსე ვრცელი ეპისტოლეთი, (იხ. „სამშობლო" № 98), რომლითაც ვერც ერთი ჩვენი დებულება ვერ დაარღვია, მხოლოდ დაამტკიცა თავისი „ზრდილობა" და „დიდი ცოდნა" საკამათო საგნისადმი.—არიან ჩვენს ბედშავ საქართველოში ისეთი ინტელიგენტი პირები—და მათი რიცხვი ლეგიონია, რომელთა ერთად ერთ არგუმენტს შეადგენს კამათის დროს უშვერი ლანძღვა-გინება. მათი აზრით, თუ კარგათ გალანძღე მოპირდაპირე, თუ უწოდე უვიცი, უმეცარი, ცალმხრივი, მის სერიოზულ მსჯელობას კი აბსურდი, რეკლამა, უაზრობა და სხვა ამისთანა „ქათინაურები", რომლებიც ისე უხვათაა გაბნეული ბ. ბოცვაძის საპასუხო წერილებში, მორჩა და გათავდა! მათ თვალში მოკამათე დამარცხებულია, მიწასთან გასწორებული. ის კი არ იციან ამ ვაჟბატონებმა, რომ ასეთი ფანდებით მხოლოდ ამზეურებენ თავიანთ გონებრივ სიჩლუნგეს, უმეცრებას და უზრდელობას, რომ ასეთი საქციელით ისინი შეურაცხყოფენ პრესას, მკითხველ საზოგადოებას და ირცხვენენ საქკეყნოთ თავიანთ თავს. ასეთ პირებზე ბრძანა სულ მნათმა შოთამ: „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების"-ო.

— ასეთ პირია სიაში ჩაწერილა პატივცემული ბ. ლ. ბოცვაძეც, რაც სრულებით არ შეფერის დინჯ პედაგოგს, მომავალ თაობის აღმზრდელს და ჟურ. „განათლების" რედაქტორს. ბ-ნო ლუარსაბ, ლანძღვა გინება რა საკადრისია! თქვენ ეცადეთ საბუთებით და მარტოოდენ სერიოზული არგუმენტებით დაარღვიოთ ჩვენი დებულებანი.

ბ. ბოცვაძეს ჩვენი შეკითხვა და მტკიცება ბანზე აუგდია, არცერთზე პასუხს არ იძლევა, ვერც ერთს ჩვენ დებულებას ვერ არღვევს, მხოლოდ ჩაჰქიდებია ნეტარ-ხსენებულ ამოს კომენსკის და სურს მისი მეთოდით ეცხო ენის სწავლების შესახებ ფონს გავიდეს. გაჰყავს პარალელი კომენსკასა და ი. გოგებაშვილის შორის, არ იცის კი, რომ ამით ვერაფერ სამსახურს უწევს განსვენებულ იაკობს.—„გოგებაშვილი იზიარებს დიდებული კომენსკის აზრსაო, კომენსკის და გოგებაშკილის შეხედულება ეცხო ენის შესწავლის შესახებ მეტნაკლებობით ერთი და იგივეაო, ორივე ენის გრამატიკას ცოდნასაც თხოულობენო" და სხ., ბრძანებს ბ. ბოცვაძე.

აი, სწორეთ მანდა ვართ ჩვენც; სწორეთ ამას ვუჩივით გოგებაშვილ! ამოს კომენსკი ცხოვრობდა 300 წლის წინათ, ბნელი რუტინისა და დახავსებულ სხოლასტიკის ბატონობის დროს და რაგინდ გენიოსი ყოფილიყო იგი, მაინც ვერ ასცდებოდა ზოგიერთ შეცდომას, რომელსაც ისე უხვად უკარნახებდენ თავის ეპოქა და გარეშე პირობანი. ასეც მოხდა. მან თუმც წარსდგა წინ დიდი ნაბიჯი და აღიარა ქვაკუთხედათ თვალსაჩინოება უცხო ენის შესწავლაში, მაგრამ გრამატიკას და კატიხიზმოებს მაინც ვერ ასცდა. მას შემდეგ ი. გოგებაშვილამდი პედაგოგიკა ფრიად განვითარდა და შემუშავდა აღზრდა სწავლებაში, ახალი მეთოდები, გამრავლდა საპედაგოგიო ლიტერატურა, გამოიცა ამ საგანზე მრავალი ჟურნალ-გაზეთები, ფსიხოლოგია შეიჭრა პედაგოგიკის სფეროში და მოახდინა მთელი რევოლიუცია. ამიერიდან პედაგოგიკა დამყარდა სამეცნიერო საფუძველზე. ყოველივე ამით შეეძლო უხვათ ესარგებლა გასვენებულ გოგებაშვილს და თავის სახელმძღვანელო აეგო უფრო საღსა და ფხიერ დებულებაზე, ვინემ არის 300 წლის წინათ აღსარებული კომენსკის მეთოდი, რომელსაც, თქვენივე სიტყვით, ვერ გასცილებია ი. გოგებაშვილი.

— რაც შეეხება იმ სიტყვებს, რასაც ვამბობდით წინა წერილში გოგებაშვილის შესახებ, რომ მის წიგნში არ არის საფუძველთ ის დიადი ჭეშმარიტება, რომელიც 300 წლის წინათ აღმოაჩინა დიდმა მოძღვარმა ამოს კომენსკიმ და ურომლისოთ არც ერთი სახელმძღვანელო არ ვარგა მეთქი, ეს ჩვენი სიტყვები ან ვერ გაუგია ბ. ბოცვაძეს, რასაც ვეჭვობთ, ან განგებ უხვევს, რომ მკითხველი შეიყვანოს შეცდომაში. კომენსკის აღმოჩენა უცხო ენის სწავლების ნახევრათ სხოლასტიური მეთოდი კი არაა, არამედ ის, რაც საფუძველთ დაედვა მთელს ახალ შედაგოგიკას საზოგადოთ სწავლების საქმეში, ე. ი. ბავშის ინტერესის აღძვრა, ხალისის გაჩოწვევა და ადვილიდან თანდათანობით უფრო ძნელ საგნებზე გადასვლა, ე. ი. საზრიანი სისტემა. დიდი მოძღვარი კომენსკი პირველი დაუახლოვდა ბავშს, გაიცნო მისი სული და შეიგნო თუ რა ეპივრებოდა ბავშის ფსიხიკას. აი, ეს დიადი აღმოჩენა დაუდვა მან საფუძვლათ თავის დიდაქტიკას და ამ რიგათ ბავშის სული იხსნა სხოლასტიკის და რუტინის ბნელი ბრეჟანლებიდან, თვით პედაგოგიკას მისცა ახალი გზა და საფუძველი. აი, ამიტომ ითვლება კომენსკი ახალი პედაგოგიკის მამამთავრათ! ეს უნდა ესმოდეს კარგათ ბ. ბოცვაძეს, და თუ არ ესმის, ძლიერ სამწუხაროა...

— ჩვენ აქ არ შევჩერდებით არც ი. გოგებაშვილის „Русское слово"-ზე, არც ს. ოცხელის „Новое слово"-ზე. რაც ვთქვით მათზე წინა წერილებში სრულებით საკმაოა, მით უმეტეს, რომ ვერც ერთი ჩვენი დებულება ამ წიგნებზე ბ. ბოცვაძემ ვერ დაარღვია და არც პასუხი მოგვცა მთავარ საკითხებზე. ჩვენი დარბაისელი მოკამათე მხოლოდ დაჟინებით გაიძახის, მე ბევრი მიკითხავს პედაგოგიკაში და „ძველ პედაგოგს" კი არაო. ეს კიდევ დიდი საკითხია, ბ-ო ლუარსაბ, ვის უფრო მეტი გვიკითხავს ან ვის უკეთ შეგვიგნია, მე თუ თქვენ. სერიოზული მოკამათე ასეთ სიტყვებს არას დროს არ იკადრებს და მიკვირს თქვენ რათ ინებეთ ასეთი რამ და რათ დაიმცირეთ თავი?! ასეთი უხეში კინკლაობა შეფერის მხოლოდ მდაბალი კლასის მოწაფეს და არა ცოდნით აღჭურვილ ინტელიგენტ პირს. თქვენი ასეთი ფანდებით მკითხველს ვერ დააჯერებთ. ეს იწვევს მხოლოდ ღიმილს და სიბრალულს, რაც ცუდათ აასიათებს ასეთ სიტყვების ავტორს, ე. ი. თქვენ.

არც ის არის ლამაზი, ბ-ნო ლუარსაბ, როცა ბრძანებთ დაცინვით: „გვჯერა, რომ ბ. ს. ოცხელს მათეკრიადა ბ. ბ. ... ...

წყობილება –სულის კვეთების გაგება ომის პირობების გამო თითქმის შეუძლებელი გახდა.

ამიტომაც არის, რომ ყველა გაზეთების სამხედრო მიმომხილველნი ერთ ხმათ გაიძახიან: ჩვენ გულთმისანები არა ვართ და არც შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, თუ რომელი მხარე გაიმარჯვებსო.

„გულთმისნობას“, რა თქმა უნდა, არც ჩვენ ვიკისრებთ, მაგრამ არ შეგვიძლია, როგორც ჟურნალისტს ამ საბედისწერო კითხვაზე ზოგადი პასუხი მაინც არ მივცეთ მკითხველს, რამდენათაც ეს ცენზურული პირობებით შესაძლებელი იქნება.

ან კი „რის მაქნისია“ მთელი დღევანდელი პრესა, თუ კი ამ მთავარ საჭირბოროტო კითხვაზე პასუხს ვერ გასცემს?! დღეს, მგონი რომ დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც ევროპის „საერთაშორისო“ ომით დაინტერესებული არ იყოს და გაფაციცებით არ დაეძებდეს პასუხს კითხვაზე: ვინ გაიმარჯვებს?!

ვინ გაიმარჯვებს?

კითხულობს ცა და დედამიწა, კითხულობს ახლად ფეხადგმული ბავშვი და „სამარის კარზე“ მისული მოხუციც და ამ დროს პასუხად ყველას მხოლოთ ესმის: „ჩვენ წინასწარმეტყველი არა ვართ, ვერაფერს გეტყვითო“!

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ლებზე და გრამატიკოსებზე-“, ბრძანებს კიკვაძე.

2). „ბრძოლა უშედეგოთ გათავდა ორივე მოწინააღმდეგე მხარისათვის“, განაგრძობს იგი.

3). „მოგეხსენებათ, ომი და ბრძოლა ჩვენი ხალხის ისტორიული თვისებაა“, ცრუობს კიკვაძე.

4). „იმ დროს, როცა ქართველი ახალგაზდობა სისხლით რწყავს იმპერიის შორეულსა თუ მახლობელ საზღვრებს, ჩვენ დიდი სიდინჯითა და ენერგიით საგრამატიკო ბრძოლას ვასრულებთ შინ-“, ფილოსოფოსობს კიკვაძე.

5). „გარეშე მაყურებელს ეგონება, რომ შინ დარჩენილი ინტელიგენცია ეშურება სამართლწერო სახელმძღვანელოები შეადგინოს და მზათ დაახვედროს იმ დასახჩრებულ მეომრებს, რომლებიც ბლომათ დაბრუნდებიან სახლში. კარგი იქნება, თუ ეს წიგნები ცოტა რამ მალამოს მაინც დადებენ ამ ბედკრულთა წყლულ!...

რა გაეწყობა, როცა ჩვენი სოციალურ—პოლიტიკური მდგომარეობა ძალა უნებურად ცნობილ. არქიმედის მიმდევრებად გვხდის ტყუილათ ჯდომას ტყუილათ სიარული სჯობიაო,-ნათქვამია“, ოხუნჯობს კიკვაძე.

ხომ ხედავთ რა ამბავშია კიკვაძე! როცა ძმას ეუბნები ბიჭო, წერა შეგშლია, აგრე წერა ენის გარყვნა და სირცხვილიაო, კიკვაძე ამას „იერიშის მიტანა“ უწოდებს, რასაკვირველია ოხუნჯობით, თუმცა აქ საოხუნჯო არა არის რა. მაგალითად, კიკვაძეს რო გაუსწოროო ორი და ორი ოცი კი არა ოთხია, **თავდასხმაშა** ჩამოგართმევს.

„ბრძოლა უშედეგოთ გათავდაო“. ბ. კიკვაძეს ან კარპატების ფერდობებზე ჰგონებია თავი იმ კამათის დროს ან-და კრებაზე სძინებია, თვარა როგორ ვერ შეიტყობდა, როგორი სიცოცხლე შეიტანა საქმეში მოხსენებამ, როგორ დააფიქრა საზოგადოება კამათმა და ჩვენი მიზანიც, რასაც ზევით ხაზი გავუსვიეთ ხომ მხოლოდ ეს იყო! სხვას რა შედეგს ელოდა ნეტავი ბ. კიკვაძე! ქვეყნის აშენებას ხომ არავის დავპირებივართ. პირიქით, რეფერენტი რა შედეგსაც ელოდა და რა მიზანიც დაისახა, მას უკვე სავსებით მიაღწია.

„ომი და ბრძოლა ჩვენი ხალხის ისტორიული თვისებაა“-ო, ბრძანებს კიკვაძე, თუმცა „ჩვენი ხალხის“ ისტორია ნაკლებად სცოდნია. რომ სცოდნებოდა, აბა როგორ დასწამებდა უმაგალითო მშვიდობის მოყვარე ქართველ ხალხს ომისა და ბრძოლის მოყვარეობას, როცა მას სრულიადაც არ ჰქონია ბუნებაში ასეთი ძალ-მომრეობა და თუ თავზე დამცემს ვაჟკაცურად დაუხვდებოდა ხოლმე და თავისას არას გაატანდა, ნურას უკაცრავად ამაზე!..

დანარჩენი ბრალდება კიკვაძისა იმაშია, რომ დღეს ომია და რა დროს გრამატიკაზე ლაპარაკიაო! ხომ არ მოგცლიათო? არქიმედისგან კი არ კმარა სისულელედ, რომ ქალაქი იქცეოდა და ამ დროს ის ამოცანას აკვდებოდაო!; დასახჩრებულ მეომრებს თქვენი გრამატიკა რად უნდათო! და ამას გვეუბნება არა დინჯად, დარბაისლურად, არამედ ქირდვით, ღრეჭით, დაცინვით. გამოდის, რომ ყველა ჩვენი კულტურული დაწესებულებანი უნდა დავკეტოთ, დავსხდეთ და შეკვაჭრდეთ ბრძოლის ველს, აბა ვის დარჩება გამარჯვება! აღარც სწავლა, აღარც აღზრდა, აღარც კვლევა ძიება, არამედ დაცემა სულითა და ტირილი! გამოდის, რომ თუ რამე მოუმოქმედნია ჩვენ საზოგადოებებს და კერძო პირებს, ყველა უსაქმობით და სისულელით მოსვლიათ!

და თუ ასე სამარცხვინო იყო ენაზე კამათიც, ვერ გაგვიგია, ბ. კიკვაძემ მაინც რალატომ მიიღო თვითონ მასში მონაწილეობა?! ან კრებაზე რატომ არ განაცხადა, რა დროს ესაო!

სცდება და სასტიკადაც სცდება ბ. კიკვაძე!

იმედია, თვით ქ. კ. მ. საზოგადოების მომავალი კრება დასდებს შესაფერს მსჯავრს ბ. კიკვაძის საქციელს. ყოველ შემთხვევაში ვერაა კაი საქციელი შინ კოცნა გარედ კბენა ან პირში მოყვრობა, ზურგს უკან მტრობა და დაცინვა ვერაფერი—შვილი სიმწიფის დიპლომია! ბ. თ. კიკვაძე, ორში ერთი ინებეთ: ან ჩვენთან გულწრფელი თანამშრომლობა კრებაზე, ან ნიღაბის ჩამოხსნა და რეპორტიორის სავარძელში დაბძანება, რისთვისაც ყველა ჩვენგანი გზას დაგილოცავს.

მლ. მ. კელენჯერიძე.

ჩვენ ძველ ასოთ-ამწყობებს.

თქვენ მე გამოიწვიეთ სამედიტორო სამართალში.

ორივე მხარემ ძალიან კარგათ ვიცით, რომ ჩვენ სამედიტორო არა გვაქვს რა. მე თქვენი არა შმართებს-რა, ჩემთან ყოფნის დროს ამხანაგურათ გეპყრობოდით, თუ რაიმე სახსარი მოეპოებოდა, ყველაზე უწინ თქვენ გაგამაყოფილებდით, ერთის სიტყვით ვცდიდობდი არ შემეფერხებინა ჩემ მიერ დწუებული საქმე, მაგრამ თქვენ ჩემი ადამიანური მოპყრობა არ დააფასეთ და ერთ „მშვენიერ დღეს“ წინასწარ გაუფრთხილებლივ მიატოვეთ გაზეთის აწყობა—გადალახეთ რა ყოველგვარი სიტყვიერი ჩვენი პირობანი, დადებული მესტამბესთან გაზეთის აწყობის დაწყებამდე.

ვერც მესტამბის რჩევამ, ვერც კანონიერებისა და ჩვეულების გახსენებამ თქვენზე ვერ გასწრა და თქვენის ჯიუტობით დიდი ზნეობრივი ტანჯვა და ქონებრივი ზარალი მოგაყენეთ.

თქვენ მოიქეცით ისე, რაგორც არ მოიქცეოდა არც ერთი შესმენილი ადამიანი.

გულახდილათ მოგახსენებთ ამისთანა ხალხი, ჩემის დრმა რწმენით, დირსი არ არის რომ ვინმე რაიმე სამართალში გაჭიყვეს, მაგრამ რაკი თქვენ დაპარაკობთ **მუშების** სახელით და „მუშათა ინტერესების დამცველ“ გაზეთების საშუალებით, მე არა მსურს ჩემი მოქმედება ისე გაიგონ, ვითომ, სიზოგადოდ, მე ანგარიშს არ ვუწევდე „მუშათა საკითხს“ და ამიტომ დადიან თქვენის გამოწვევისა, ვეძებდი ისეთ მოსამართლეებს, რომლებიც თქვენგან დაწუნებულნი არ იქნებოდენ.

მე კანგებ ავუხვიე მხარი ჩემი მამართულებისა და წრის კაცებს. და მივმართე ისეთ პირს, რომელის მსჯავრიც მუშათა შორის ავტორიტეტული იქნებოდა.

მაგრამ ამ პირმა მეტისმეტ თავაზიანთ უარ ჰყო ჩემი თხოვნა.

—მაპატიეთ და მაგ საქმეში ვერ ჩავერევიო.

მე კარგათ მესმის, რას ნიშნავს მისი თავაზიანი უარი.

თქვენი პირდაპირი გამტეუნება სეკვედურს გამოიწვევს მუშათა შორის, თქვენი მხარის დაჭერას კიდევ ვერ იკისრებდა, რაგორც სამართლიანი კაცი და ამიტომ ისევ უარი ამბობინა.

მე ძალიან გწუხვარ, რომ ამ ჩემგანაც პატივცემულმა კაცმა იუარა მოსამართლეობა.

ამიტომ მიგმართამ დიდათ პატივცემულ ვექილს **გრ. გიორგაძეს** და **ძღვდელს სპირიდონ ლეკვეიშვილს—კისრად იღონ შრომა და გამოარკვიონ:** რა დანაშაული მიუძღვის ჩვენ რედაქციას თქვენ წინაშე

თუ დამნაშავე ვართ რაშიმე—დაგვაპირონ რა სასჯელიც გვეკუთვნის, თუ არა და—შეგაგნებინონ თქვენ და თქვენ მსგავსებს, რომ უდანაშაულოთ საქმის მიტოვება და ადამიანის გაბიაბრუება ვეღურობა, შეუგნებლობა და უსამართლობაა.

„სამშობლოს“ რედ. ი. ცინცაძე.

დაბა-სოფელი.

სოფ. როხი (ქუთაისის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს ქალაქიდან 20—21 ვერსის მანძილზე და შესდგება სამასამდე მცხოვრებლებისაგან. ერთად ერთ კულტურულ წყაროს სამრევლო სკოლა წარმოადგენს, რომელსაც არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული, როგორც მოძღვარ-მასწავლებლის მხრით, ისე უმთავრესად მცხოვრებლებისაგან. ამ სოფელში, ორი წლის წინათ ძლივს მოვესწარით საქალო სასწავლებლის გახსნას, მაგრამ ამ უკანასკნელმა ცუდ ხელმძღვანელების ხელში, მარტო ორ წელიწადს იცოცხლა. ამ რიგათ ეს პატარა სოფელი ძლიერ დაბალ საფეხურზე სდგას სწავლა განათლების მხრით. წინეთ, როცა ხსენებულ სამრევლო სკოლაში მასწავლებლობდა პატივცემული მიხ. სუპატაშვილი, ამ სასწავლებლის საქმეც ძლიერ კარგათ მიდიოდა. სუპატაშვილი, თუმცა ნაზდვილი ძველი რეჟიმის პეტაგოგი იყო, მასწავლებელი მკაცრი და სასტიკი, სრულის მნიშვნელობით ამ სიტყვისა, მაგრამ თვისი არაჩვეულებრივი გამრჯელობით და შრომით დიდი ნაყოფი მოქონდა ამ სოფლისთვის. შემდეგ, როცა ბ-ნი სუპატაშვილი მღვდლათ ეკურთხა და ის სვანეთში გადაიყვანეს, ამ სკოლის საქმეც ცუდათ წავიდა. სხვა და სხვა მასწავლებელი ხშირათ იცვლება ამ სასწავლებელში, მაგრამ ვერც ერთ მათგანს რიგიანათ საქმე ვერ მიყვდა. მახსოვს, ამ სკოლაში მოწაფეთა რიცხვი როგორ იკლებდა. 90-დან უცბათ ოცზე, ან თერთმეტზე ჩამოდიოდა. ამ უკანასკნელათ ამ სკოლაში მასწავლებლობა წილად ხვდა მ. ლორთქიფანიძეს. ამ მასწავლებელმა პირველ წელს მართლაც კირგათ წაყვანა საქმე. მოწაფეების რიცხვმა შესამჩნევათ იმატა. ყველა გახარებული მივეგებეთ სუპატაშვილის დროს დაბრუნებას, მაგრამ დიდხანს არ გასტანა ჩვენმა სიხარულმა. ეს ორი-სამი წელიწადია ამ სკოლაში მოწაფეთა რიცხვი ყოველ წლიურ კლებულობს. აქ მასწავლებლობდა სრული სამი წელიწადი, სრულიად უჯამაგიროთ ალ. ხარაბაძე. მისწყინდა საბრალოს შორი სოფლიდან თვისი ხარჯით ტყუილა შრომა და გზა გაუდგა ანკი რა უნდა იქნა ყველაგან მოტყუილებულსა და გულგახეთქილ მასწავლებელს?

— რასთვის იკლებს ყოველ წლობით მოწაფეების რიცხვი, რა არის მიზეზი, რომ ყმაწვილები სკოლაში არ შეგყავ? დავიკითხე ამ სოფლის გლეხებს.

— რისთვის შევიყვანოთ ბავშები მაგ კლაში, ბატონო! მანდ ბავშები ტყუილა გვიცდება, ჩვენ კი შინ ვკლებულობთ მუშა ხელსო!. მიპასუხეს გლეხებმა. მართლაც, როცა დაწვრილებით შევიტყვე საქმის გარემოება, აღმოჩნდა, რომ მასწავლებელს, ეს ორი წელიწადი ხშირათ ვერ მოუკლია თვისი ვალდებულობის ასასრულებლათ. თუ სამხედრო საქმეები ეხებოდა თურმე, და თუ სხვა შინაური გარემოებანი ხელს არ უწყობდენ.

გედი.

(დასასრული ხვალ.)

——

ოზურგეთი. ამქამათ ოზურგეთის ცხრეში იმყოფება, მარიობისთვეში სამშობლოში დაბრუნებული, სულთან გამიდის დროს სტამბულის პოლიციმეისტრათ ნამყოფი ოზურგეთის მაზრის აზნაური სამსონ ვარდენისძე ღლონტი, რომელიც მთავრობისაგან დატყვევებულ იქმნა და ომიანობის გათავებამდე ტომსკის გუბერნიაში აქვს გადაწყვეტილი გადასახლება.

უდანაშაულო მეხვრპლი ომიანობისა, ციხის რეჟიმს მიუჩვეველი დაავათმყოფებულა, რისთვისაც ნათესავებმა დეპუტატ ჩხენკელს მიმართეს, რომელმაც იშუამდგომლა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, თუ სრულიად განთავისუფლება არ შეიძლება, მაინც გადაასახლონ და ვინაიდან ეტაპის შედგენას აგვიანდება და დატყვევებული ეს მეოთხე თვეა ციხეში იტანჯებაო, მისცენ ნათესავებს ნება თავდებობის ქვეშ თავის ხარჯით წაიყვანონ დანიშნულ ადგილას. გუბერნატორი ამ საქმის შესახებ შუამდგომლობას დაჰპირდა უმაღლეს მთავრობის წინაშე ბ. ჩხენკელს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი შველა არა სჩანს, ხოლო დატყვევებულის მდგომარეობა დღითი დღე აუტანელი ხდება, რასაც ძლიერ სწუხრანაცნობ—ნათესავები.

ი.—ზი.

——

დ. ყვირილა.

არას გზით არ იქნა და ბოლო არ მოეღო ჟურნალ-გაზეთების ძარცვა-ქურდობას.

გაზეთ „სამშობლოს“ 64-ე № ში მოთავსებულია წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ალექსანდრე ყენია გაზეთების მოტაცებისთვის დაჭერილიყოო, და დღესაც ეს უკანასკნელი თარეშობს. გაზეთი „სამშობლო“ ხშირათ იკარგებოდა და ვერას გზით ვერ გამოვარკვიეთ თუ ვინ ჩადიოდა ამ საქმეს; ბოლოს გამოირკვა, რომ იმ ნუმრებს, რომელიც იკარგებოდა, ვაჭრები სახვევ ქაღალდათ ხმარობდენ, და გამოირკვა ისიც, რომ ალექსანდრე ყენიასაგან იყო მიყიდული დაკარგული ნუმრები. მიუხედავათ საქვეყნო მხილებისა ეს უკანასკნელი კიდევ განაგრძობს ამ სამარცხვინო საქმეს.

თუ საქვეყნოთ გამოაშკარავდა მისი საქციელი, თავს იმით იმართლებს ხოლმე, რომ იარლიკი ახეული იყო და „ვესოვშჩიკმა“ შემაცდინაო, და სხვა...

ვ მაინს ყენიას საქმე გაარჩია სამედიატორო სასამართლომ. სამწუხაროთ მედიატორებში მისი დამხმარენი აღმოჩნდენ და შემდეგი განჩინება დაადგინეს: „ვსცანით, რომ ის გაზეთები, რომელიც ყენიას სახელზე არ იყო გამოგზავნილი შეცდომა დაუშვა ყენიამ, რომ მიიღო და ყიდვა დაუწყოვო“. ამ ეთმა მოსამართლეებმა სრული თავისუფლება მისცეს ა. ყენიას, რომ ჩვეულებრივ დაადგეს ბოროტმოქმედების გზას.

კ. შავიძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნ რედაქტორო!

გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენს გაზეთის საშუალებით ურომლისი „მადლობა“ გამოვუცხადოთ ექიმს გრიგოლ კონსტანტინეს-ძეს ალშიბაიას, რომელმაც დაუფასებელი შრომა დასდვა ნამდვლევის მიხეილ ნიკოლოზის-ძის სუპატაშვილის ღარიბ ოჯახს. პატივცემული ექიმი დაწყებული ამა წლის იანვრიდან სულ განუწყვეტლად და მოუწყენლად სდებს ღვაწლს და შრომას დღემდის, აიმედებს უპატრონოდ დარჩენილს სუპატაშვილის ოჯახს, მასთანვე პირდება შემდეგისთვისაც დახმარების აღმოჩენას სამკურნალო საშუალებით; რისთვისაც მიხეილ სუპატაშვილის უსაშუალოდ დატოვებული ოჯახი ურომეს მადლობას სწირავს ბ. ექიმს უსასყიდლო საშუალებისთვის, რომელიც მან აღმოუჩინა.

სუპატაშვილის ოჯახის მონდობილობით

თამარა აბდუშელიშვილისა.

——

ბ. რ!. ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულის გაზეთის საშუალებით ურომესი მადლობა გამოვუმცხადოთ ქვემო აღნიშნულ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ტყიბულის უფასო წიგნსაცავ—სამკითხველოს წიგნები და სხვა.

სიმონ და მატრონა ბისტრინებმა შემოსწირეს წიგნები 40 მანეთად ღირებული; ქრ. (ფოლიკო) ანდრეადმ გამოუწერა გაზეთი „თემი“, ვასილ ყუფარაძემ ევროპის კარტა—1 მან. ღირ., დათიკო ღოღობერიძემ წიგნაკები 10 შ. ღირ. აგრეთვე ურომეს მადლობას ვუცხადებთ დათიკო ჩხაიძეს, რომელმაც შემოსწირა ყოველდღიური სხვადასხვა გაზეთი და კვირეული ჟურნალები. საწევრო ფული შემოიტანა ვასიკო კაპანაძემ.

ვსთხოვთ დანარჩენ წევრებსაც ხვედრი ფული დროზე შეშოიტანონ.

საბჭოთ. მდივანი ქრისტეფორე ანდრეადი.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.

აბანო.

ს. ზეკარში, ბაღდათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენივრად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემკობილს ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბაღდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რიზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღეს. აბანოს ახლავს ახლო სოფელი და დუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი სამაგალითოდ მოქმედებს ავათმყოფებზე. უმეტესად ურმით მოყვანილი ავათმყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნავს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჭეჭების ტკივილს, ტანის ქავილს და სხვას.

აბანოს მოიჯარადრე ად. დვალაძე. თ.

დაიბეჭდა და იყიდება **კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. **ფასი ყდით 2 აბაზი.**

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა

„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„კაზმული სიტყვიერებითი ქრესტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. **თ. მ.**

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

** კატალოგები უფასოთ**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში